

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. საკვალიფიკაციო კომისიის დებულება შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ №69/ნ ბრძანების პირველი დანართით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის „თეთნულდი“ წესდებისა და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების შესაბამისად.
2. დებულება განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ საკვალიფიკაციო კომისიის საქმიანობისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს. საკვალიფიკაციო კომისიის მიზანია სტუდენტთა პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციების ფლობის დადასტურება, განსაზღვრული კრედიტების ათვისების დადგენა, სწავლის შედეგების შესაბამისობის განსაზღვრა მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაში მონაწილეებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების საკითხის განხილვა და კვალიფიკაციის მინიჭება

**მუხლი 2. ტერმინითა განმარტება**

1. **კოლეჯი** - სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“
2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა.
3. **სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით).
4. **დუალური სწავლება** - დუალური სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და სუბიექტის (რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული აქვს სასწავლო საწარმოს სტატუსი) მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში.
5. **კოოპერაციული სწავლება** - კოოპერაციული სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და სუბიექტის (მეწარმე სუბიექტი/იურიდიულ პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი) მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში.
6. **იმიტირებული სამუშაო გარემო** - პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა, რომელიც ხორციელდება დაწესებულებაში.
7. **მოდული** - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს.
8. **კომპეტენცია** - სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში,პროფესიული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა.
9. **კრედიტი** - ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას,რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად.

10. **კვალიფიკაცია** – დაწესებულების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით.
11. **დიპლომი** – უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
12. **დიპლომის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან ერთად გაცემს კოლეჯი, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად.

### **მუხლი 3. საკვალიფიკაციო კომისიის შექმნა**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს არანაკლებ 4 (ოთხი) წევრისაგან შექმნილი მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობაც განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. საკვალიფიკაციო კომისიის წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
3. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრები.
4. საკვალიფიკაციო კომისია იკრიბება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო ჯგუფის მიერ სწავლის დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

### **მუხლი 4. საკვალიფიკაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საკვალიფიკაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
2. საკვალიფიკაციო კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტა კომისიის თავმჯდომარის ხმა.
3. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

### **მუხლი 5. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტის სრულად ათვისება, რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულში დადებითი შეფასების მიღებით ან/და კრედიტების აღიარებით.
2. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების სრულად ათვისების ან აღიარების შემდეგ პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საკვალიფიკაციო კომისიის მიერ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით და შემდგომი რეაგირებისთვის წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
- 2<sup>1</sup>. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების სრულად ათვისების ან აღიარების, შუალედურ შეფასებაში მონაწილეობისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საკვალიფიკაციო კომისიის მიერ, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით და შემდგომი რეაგირებისთვის წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
3. საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემის თაობაზე.
4. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება კოლეჯის მიერ გაცემული დიპლომითა და დიპლომის დანართის გაცემის გზით.
5. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემდგომ კურსდამთავრებულის მონაცემები აისახება სსიპ - პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

### **მუხლი 6. საკვალიფიკაციო კომისიის შედეგების გასაჩივრება**

საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მიუნიჭებლობის თაობაზე შესაძლოა გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.